ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 7

ქ. თბილისი, 7 ივლისი, 2023 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ,

დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 30 წევრი

სხდომას ესწრებოდა 19 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

2. ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

3. ბიზნესის ადმინისტრირების ერთწლიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნების მენეჯმენტი“ განხილვის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

4. ბიზნესის ადმინისტრირების ერთწლიანი აღმასრულებელი სამაგისტრო (ეასს) პროგრამის „საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტი “ განხილვის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

5. 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილების დამტკიცების საკითხი

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

6. დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიების დამტკიცება

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

7. თსუ სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებები

/**დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე**/

8. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი

მოისმინეს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

ეკონომიკის საბაკალავრი პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 77)

ა) ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების წინაპირობის მოხსნის შესახებ.

ცვლილების აღწერა: წინაპირობა მოეხსნას შემდეგ სასწავლო კურსებს:

- მაკროეკონომიკური პოლიტიკა;
- ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება, წინაპირობის დაზუსტება.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული, დანართი N80):

ა) ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების წინაპირობის ცვლილების შესახებ.

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსებს: ,,ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა" და ,,შრომის ბაზრის ეკონომიკა" მოეხსნა წინაპირობა ,,ეკონომეტრიკა 2" და ,,სტატისტიკური ანალიზის მეთოდები" - დარჩეს ,,მაკრეკონომიკა II".

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება, წინაპირობის დაზუსტება.

ბ) ცვლილება: სასწავლო კურსების სემესტრული ცვლილების შესახებ.

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსები: ,,ეკონომიკური ზრდის თეორიები" და ,,ბიზნესის ეკონომიკა" მეორე სემესტრიდან გადავიდეს მესამე სემესტრში, ხოლო სასწავლო კურსები: ,,ეკონომიკური განვითარების თეორია" და ,,მაკროეკონომიკური პროგნოზირება და პროგრამირება" მესამე სემესტრიდან - მეორე სემესტრში.

საფუძველი: პროგრამის სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

გ) ცვლილება: ახალი კონცენტრაციის დამატება.

ცვლილების აღწერა: სამაგისტრო პროგრამის არსებულ კონცენტრაციებს დაემატა ახალი კონცენტრაცია „ცირკულარული ეკონომიკა"

საფუძველი: სტუდენტებისთვის სამაგისტრო პროგრამის კონცენტრაციების არჩევანის გაფართოება.

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 84)

ა) ცვლილება: სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ.

- **ცვლილების აღწერა:** გადამუშავდა სასწავლო კურსის სილაბუსი ,,კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში" და წარმოდგენილ იქნა მოდიფიცირებული სახით, კერძოდ: შეიცვალა ავტორი, დაზუსტდა შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ხანგრძლივობა და ფორმატი, განახლდა ძირითადი ლიტერატურა და შესაბამისად შეიცვალა თემატიკა.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საბაკალავრო პროგრამა ეკონომიკაში (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 274)

(ა) **ცვლილება:** ახალი არჩევითი სასწავლო კურსის **„საერთაშორისო ვაჭრობის მოდელები“** პროგრამაში დამატების შესახებ.

ცვლილების აღწერა: ამჟამად პროგრამის კურიკულუმით ისწავლება არჩევითი კურსი „საერთაშორისო ვაჭრობა“ და მაღალი იყო სტუდენტთა ინტერესი აღნიშნული თემის მიმართ. მათივე ინტერესის გათვალისწინებით გადაწყდა, რომ მოხდეს ახალი კურსის შეთავაზება, რაც შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ სტუდენტს გაიღრმავოს ცოდნა საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულებით, კერძოდ კი შეძლოს სავაჭრო ნაკადებისა და პოლიტიკის გავლენის ემპირიული ანალიზის გაკეთება.
ახალი კურსი განხორციელდება პარტნიორ CERGE-EI უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც გულისმობს ელექტრონულ/შერეულ ჰიბრიდული კურსის წარმართვას პარალელურად რამდენიმე პარტნიორ უნივერსიტეტებში (სხვადასხვა ქვეყანაში).

კურსს წაიკითხავს, CERGE-EI-ის ლექტორი ვილემ სემერაკი, Ph.D (the Prague University of Economics (VŠE), მე-8 სემესტრში, ხოლო პირისპირ სემინარებს კი ლექტორის ასისტენტი: ვალიდა ფანცულაია).

საფუძველი: სტუდენტების ინტერესი კონკრეტული თემის ირგვლივ ცოდნის გაღრმავების შესახებ, კერძოდ კი სავაჭრო ნაკადებისა და პოლიტიკის გავლენის ემპირიულ ანალიზის კუთხით. ამასთანავე, არჩევითი სასწავლო კურსების სპექტრის გამრავალფეროვნება, რაც ყოველთვის მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის.

(ბ) **ცვლილება:** ორი სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილების შესახებ

ცვლილების აღწერა:

(1) სასწავლო კურსი **„თამაშთა თეორია“** პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსით. აღნიშნული კურსი მიეკუთვნება საბაზისო კურსების კატეგორიას, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს სხვა კურსებში განსახილველი საკითხების უკეთ გააზრებას. თამაშთა თეორიის კურსი მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ინდუსტრიული ორგანიზაციისა და კონკურენტული სტრატეგიის კურსისთვის (რომელიც სავალდებულო კურსია). იმის გამო, რომ თამაშთა თეორიის კურსი ამჟამად არის არჩევითი კურსი, ინდუსტრიული ორგანიზაციისა და კონკურენტული სტრატეგიის კურსის გავლისას სტუდენტები არათანაბარ პირობებში იმყოფებიან. ის სტუდენტები, რომელთაც გავლილი აქვთ თამაშთა თეორიის კურსი უკვე გააჩნიათ საბაზისო ცოდნა (განსხვავებით დანარჩენი სტუდენტებისგან) და ინდუსტრიული ორგანიზაციისა და კონკურენტული სტრატეგიის კურსის ინსტრუქტორს დამატებითი მუშაობა სჭრდება სტუდენტების მეორე

ჯგუფთან. შესაბამისად, თამაშთა თეორიის კურსის სტატუსის შეცვლა ხელს შეუწყობს ინდუსტრიული ორგანიზაციისა და კონკურენტული სტრატეგიის კურსის ძირითადი მიზნების მიღწევას და სტუდენტებს საშუალებას მისცემს უფრო სიღრმისეულად გაიაზრონ აღნიშნული კურსის ფარგლებში განსახილველი საკითხები.

ზემოხსენებული ცვლილების შემდეგ სტუდენტებს გაუადვილდებათ ქცევითი ეკონომიკის და გავლენის შეფასების კურსების ფარგლებში განხილული საკითხების უკეთ დაძლევა.

(2) სასწავლო კურსი **„დანახარჯისა და სარგებლიანობის ანალიზი“** პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსით.

კურსის სტატუსის შეცვლა დაკავშირებულია თამაშთა თეორიის კურსის სტატუსის ცვლილებასთან (თამაშთა თეორიის კურსის არჩევითიდან სავალდებულოდ ცვლილება). ამასთანავე, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი არჩევითი საგნის სახით არსებობა, რადგან:

(ა) სასწავლო კურსი არ მიეკუთვნება ეკონომიკის საბაზისო კურსების კატეგორიას და უფრო მეტად ცოდნის გაღრმავებას ემსახურება, ვიდრე ბაზისის შექმნას;

(ბ) კურსის ფარგლებში განხილული საკითხები განსაკუთრებით სასარგებლოა სტუდენტების იმ ჯგუფისთვის, რომლების თავიანთ კარიერას სპეციფიკურად ხარჯთ-სარგებლიანობის შეფასებას, ცვლილებების ხარჯების განფასებას, რეგულირების გავლენის შეფასებას და გენდერული გავლენის შეფასებას დაუკავშირებენ;

(გ) სასწავლო კურსის სპეციფიკა ითვალისწინებს პროექტებზე მუშაობას მთელი კურსის განმავლობაში, რაც სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროებას ქმნის, რაც განსაკუთრებით შედეგიანი იქნება მცირე ზომის, მოტივირებული ჯგუფის არსებობის შემთხვევაში (ვიდრე დიდი ზომის ჯგუფის პირობებში). რაც შეეხება სემეტრის ცვლილება, იგი სასწავლო განრიგის ოპტიმიზაციის პროცესის შედეგია და სასწავლო პროცესის მოქნილობისა და მრავალფეროვნების ზრდას ემსახურება.

საფუძველი: სასწავლო ISET-ის აკადემიური კომიტეტის ინიციატივით პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მუშაობა პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით. ზემოაღნიშნული ორი სასწავლო კურსის სტატუსის მოდიფიცირება.

გ) ცვლილება: სასწავლო კურსებში სემესტრების ცვლილების შესახებ.

ცვლილების აღწერა: პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების სემესტრების ცვლილების შესახებ; ცვლილებების გამომწვევი მიზეზებია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ჩატარებული გამოკითხვების შედეგები და სტრუქტურის ოპტიმიზაცია, კერძოდ:

- ✓ **„საერთაშორისო ვაჭრობა“** ნაცვლად მე-5 სემესტრისა შეთავაზებული იქნება მე-7 სემესტრში (სტატუსი - სავალდებულო).
- ✓ **„კორპორაციათა ფინანსები 1“** ნაცვლად მე-7 სემესტრისა შეთავაზებული იქნება მე-5 სემესტრში (სტატუსი - არჩევითი).

- ✓ **„კორპორაციათა ფინანსები 2“** ნაცვლად მე-8 სემესტრისა შეთავაზებული იქნება მე-6 სემესტრში - (სტატუსი - არჩევითი).
- ✓ **„ინოვაციის ეკონომიკა“** ნაცვლად მე-5 სემესტრისა შეთავაზებული იქნება მე-7 სემესტრში (სტატუსი - არჩევითი).
- ✓ **„ენერგეტიკის ეკონომიკა“** ნაცვლად მე-5 სემესტრისა შეთავაზებული იქნება მე-7 სემესტრში (სტატუსი - არჩევითი)
- ✓ **„განვითარების ეკონომიკა“** ნაცვლად მე-5 სემესტრისა შეთავაზებული იქნება მე-6 სემესტრში (სტატუსი - სავალდებულო) .
- ✓ **„შედარებითი ეკონომიკური სისტემები“** ნაცვლად მე-6 სემესტრისა შეთავაზებული იქნება მე-7 სემესტრში (სტატუსი - სავალდებულო) .
- ✓ **„ფული და საბანკო საქმე“** ნაცვლად მე-7 სემესტრისა შეთავაზებული იქნება მე-5 სემესტრში (სტატუსი - სავალდებულო).
- ✓ **„ეკონომიკური აზრის ისტორია“** ნაცვლად მე-7 სემესტრისა შეთავაზებული იქნება მე-6 სემესტრში (სტატუსი - სავალდებულო).
- ✓ **„ეკონომიკის კვლევა და კომუნიკაცია“** ნაცვლად მე-5 სემესტრისა შეთავაზებული იქნება მე-7 სემესტრში (სტატუსი -არჩევითი)
- ✓ **„მაკროეკონომიკური პოლიტიკა“** ნაცვლად მე-8 სემესტრისა შეთავაზებული იქნება მე-7 სემესტრში (სტატუსი - არჩევითი)
- ✓ **„ეკონომიკური ფსიქოლოგია და სოციოლოგია“** ნაცვლად მე-4 სემესტრისა შეთავაზებული იქნება მე-3 სემესტრში (სტატუსი თავისუფალი).

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის ოპტიმიზაცია

დ) ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსებში როგორც სემესტრის, ასევე წინაპირობების ცვლილების შესახებ

ცვლილების აღწერა: დაზუსტდეს ქვემოთ მოცემულ არჩევით სასწავლო კურსებზე წინაპირობებისა და სემესტრის ცვლილება შემდეგი სახით:

- ✓სასწავლო კურსს **„ცირკულარული ეკონომიკა“** წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსები: მიკროეკონომიკა 1 (ნაცვლად მიკროეკონომიკა 2) და ნაცვლად მე-7 სემესტრისა შეთავაზებულ იქნას მე-5 სემესტრში.
- ✓სასწავლო კურსს **„საჯარო სექტორის ეკონომიკა“** წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსები: მიკროეკონომიკა 1 (ნაცვლად მიკროეკონომიკა 2) და ნაცვლად მე-6 სემესტრისა შეთავაზებულ იქნას მე-5 სემესტრში.
- ✓სასწავლო კურსს **„გავლენის შეფასება“** წინაპირობა განესაზღვროს შემდეგნაირად:

  მიკროეკონომიკა 1 (ნაცვლად მიკროეკონომიკა 2-ისა) და ეკონომეტრიკა 2, ხოლო ამოღებულ იქნას მაკროეკონომიკა 2; ხოლო კურსი ნაცვლად მე-7 სემესტრისა შეთავაზებულ იქნას მე-5 სემესტრში

საფუძველი: სასწავლო კურსების მოდიფიცირება წინაპირობებისა და სემესტრის დაზუსტებით. კურსის ხარისხის კონტროლის მიზნით ჩატარებული გამოკითხვები, რომელთა საფუძველზეც მოხდა პროგრამის ხელმძღვანელის კონსულტაცია კურსების ლექტორებთან. კვლევის შედეგები გამყარდა და დაზუსტდა, რომ მიკროეკონომიკა 1 სრულად ფარავს იმ საკითხებს, რომელიც საჭიროა წარმოდგენილი კურსების მიზნების მისაღწევად.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (ინგლისურენოვანი პროგრამა) (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 82):

ა) **ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ცვლილების შესახებ.

ცვლილების აღწერა: პროგრამის ხელმძღვანელის მუჰამად ასალის ნაცვლად ასოცირებული პროფესორის ზურაბ აბრამიშვილის დანიშვნა პროგრამის ხელმძღვანელად, ხოლო პროგრამის თანახელმძღვანელის ასისტენტ-პროფესორის თეიმურაზ გოგსაძის ნაცვლად ნიკოლოზ ფხაკაძის (დოქტორი, PhD) ჩართვა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელის პოზიციაზე.

საფუძველი: ბ-ნი მუჰამად ასალის როგორც ქვეყნიდან, ასევე თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორის პოზიციიდან წასვლა. ხოლო ბ-ნი თეიმურაზ გოგსაძის, ფინანსების სამაგისტრო პროგრამაზე ხელმძღვანელის პოზიციაზე გადასვლა. ნიკოლოზ ფხაკაძე, გახლავთ ISET-ის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული; მას ეკონომიკის დოქტორის ხარისხი მოპოვებული აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი Georgetown University-ში.

ბ) **ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამაში 2 სასწავლო კურსში ლექტორის შეცვლის შესახებ

ცვლილების აღწერა: შეიცვალოს ქვემოთ მოცემულ სასწავლო კურსებზე ლექტორები შემდეგნაირად:

- ✓სავალდებულო სასწავლო კურსის **„მიკროეკონომიკა III"** ლექტორის თეიმურაზ გოგსაძის ნაცვლად ნიკოლოზ ფხაკაძე, PhD.
- ✓არჩევითი სასწავლო კურსის **„ინდუსტრიული ორგანიზაცია"** ლექტორის ავნერ შაკიდის ნაცვლად ნიკოლოზ ფხაკაძე, PhD.

საფუძველი: ნიკოლოზ ფხაკაძის როგორც პროგრამის თანახელმძღვანელის სამაგისტრო პროგრამის სწავლებაში ჩართვა.

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) „ფინანსების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (თსუ აკადემიური საბჭოს #106/2021; 29/11/2021 დადგენილებით დამტკიცებული დანართი 306)

ა) **ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამაში პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

ცვლილების აღწერა: პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორ მუჰამად ასალის ნაცვლად ასისტენტ-პროფესორი და ამავე პროგრამის თანახელმძღვანელი თეიმურაზ გოგსაძის დანიშვნა პროგრამის ხელმძღვანელად. ვინაიდან 2022-23 სასწავლო წლის მანძილზე თეიმურაზ გოგსაძე გახლდათ ISET-ის ორი სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი (ეკონომიკის და ფინანსების) და მან წარმატებით შეასრულა ეს ფუნქცია, მაშინ როდესაც პროგრამის ხელმძღვანელი უხელფასო შვებულებაში იმყოფებოდა, შესაბამისად ამ ერთწლიანი გამოცდილების საფუძველზე, გამართლებულია, თეიმურაზ გოგსაძე გახდეს სამაგისტრო პროგრამის 'ფინანსები' ხელმძღვანელი (და ჩამოშორდეს მეორე პროგრამის თანახელმძღვანელის ფუნქცია).

საფუძველი: მიმდინარე ხელმძღვანელის, მუჰამად ასალის როგორც ქვეყნიდან, ასევე თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის პოზიციიდან წასვლა.

ბ) **ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების ლექტორების ჩანაცვლების შესახებ

ცვლილების აღწერა: შეიცვალოს ქვემოთ მოცემულ სასწავლო კურსებზე ლექტორები შემდეგნაირად:

- სავალდებულო სასწავლო კურსის ,,**რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1**" ლექტორის ალექსანდრე ერგეშიძის ნაცვლად აკაკი ლიქოკელი CFA.
- სავალდებულო სასწავლო კურსის ,,**ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის**" ლექტორის ნიკოლოზ ქოიავას ნაცვლად ერეკლე პირველი PhD.
- სავალდებულო სასწავლო კურსის ,,**ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1**" ლექტორის ბაქარი ბარათაშვილის ნაცვლად ნიკოლოზ ქოიავა PhD.
- სავალდებულო სასწავლო კურსის ,,**რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2**" ლექტორის მუჰამად ასალის ნაცვლად აკაკი ლიქოკელი CFA.
- სავალდებულო სასწავლო კურსის ,,**კორპორატიული ფინანსები 1**" ლექტორის თეიმურაზ გოგსაძის ნაცვლად ჟან-ჰენდრიკ მეიერი PhD.
- სავალდებულო სასწავლო კურსის ,,**ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2**" ლექტორის ბაქარი ბარათაშვილის ნაცვლად ნიკოლოზ ქოიავა PhD.
- სავალდებულო სასწავლო კურსის ,,**სასესხო ინსტრუმენტების შეფასება**" ლექტორის ნიკოლოზ ქოიავას ნაცვლად აკაკი ლიქოკელი CFA.
- სავალდებულო სასწავლო კურსის ,,**ეკონომიკა ფინანსისტებისთვის 3**" ლექტორის იაროსლავა ბაბიჩის ნაცვლად მარიამ ხარაიშვილი PhD.
- სავალდებულო სასწავლო კურსის ,,**კორპორატიული ფინანსები 2**" ლექტორის ნიკოლოზ ქოიავას ნაცვლად ჟან-ჰენდრიკ მეიერი PhD.
- სავალდებულო სასწავლო კურსის ,,**Capstone პროექტის**" ლექტორის ლევან ეფრემიძის ნაცვლად ბაქარი ბარათაშვილი PhD.
- სავალდებულო სასწავლო კურსის ,,**ბიზნესის შეფასების**" ლექტორის ნიკოლოზ ქოიავას ნაცვლად ლევან ეფრემიძე PhD.
- სავალდებულო სასწავლო კურსის **„საინვესტიციო პორტფელის მართვის"** ლექტორის ლევან ეფრემიძის ნაცვლად გიორგი დანელია PhD.
- არჩევითი სასწავლო კურსის **„ალტერნატიული ინვესტიციები"** ლექტორის დავით ასლანიშვილის ნაცვლად გიორგი დანელია PhD.

საფუძველი: რიგ შემთხვევაში მიმდინარე ლექტორების როგორც ქვეყნიდან, ასევე ეკონომიკის საერთაშორისო სკოლიდან წასვლა 2023-24 სასწავლო წლიდან; რიგ შემთხვევაში ლექტორის სამუშაო გრაფიკისა და მოთხოვნის საფუძველზე სალექციო კურსების რაოდენობის შემცირება; ხოლო რიგ შემთხვევაში ლექტორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე თანამშრომლობის შეწყვეტა.

გ) **ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის დაზუსტების შესახებ

ცვლილების აღწერა: აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის წლიური საფასურის დაზუსტება 2250 ლარის ნაცვლად 8800 ლარით საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად.

საფუძველი: საქართველოს მთავრობის N193 2023 წლის 30 იანვარის განკარგულება.

დ) **ცვლილება:** სასწავლო კურსებზე აკაკი ლიქოკელის მიერ სწავლების უფლების მოპოვების შესახებ მოწვეული ლექტორის სტატუსით.

ცვლილების აღწერა: ბ-ნი აკაკი ლიქოკელი არ ფლობს დოქტორის ხარისხს, მაგრამ სანაცვლოდ ფლობს CFA სერთიფიცირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა პროგრამის სამივე საფეხურის დამადასტურებელ ოფიციალურ სერთიფიკატს, რაც ფინანსების სფეროში 'ოქროს სტანდარტად' არის აღიარებული. რადგან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის მე-2 მუხლის (ბ) პუნქტის თანახმად „სალექციო კურსის წასაკითხად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის/ან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების (ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით) მქონე პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და/ან პუბლიკაციები/გამოფენები/ფილმები და/ან სხვა სახის აქტივობები შესაბამისი პროფილის მიხედვით" აქვს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების უფლება და აკაკი ლიქოკელი ფლობს ფინანსების სფეროს CFA სერთიფიცირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა პროგრამის სამივე საფეხურის დამადასტურებელ ოფიციალურ სერთიფიკატს, აკაკი ლიქოკელი ჩაერთვება პროგრამაში, როგორც მოწვეული ლექტორი. იგი ასევე არის ISET-ის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის 2016 წლის კურსდამთავრებული.

საფუძველი: პროგრამის მოწვეული პერსონალის გაძლიერება თსუ აკადემიური საბჭოს N: 119/2018 დადგენილების შესაბამისად „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი."

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 78)

ა) ცვლილება: სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ.
ცვლილების აღწერა: განახლდა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები და წარმოდგენილ იქნეს მოდიფიცირებული სახით, კერძოდ: შეფასების სისტემიდან ამოღებულ იქნა დასწრება, შეიცვალა შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, დაზუსტდა შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ხანგრძლივობა და ფორმატი, გადახალისდა ლიტერატურა, მოხდა ზოგიერთი თემატიკის გაერთიანება და ცვლილება შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსებში:

- კროს-კულტურული ურთიერთბები საერთაშორისო ბიზნესში;
- საერთაშორისო ბიზნესის მართვა;
- საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება;
- ევროკავშირის ბიზნეს გარემო;
- ორგანიზაციის თორია;
- საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოება;
- გლობალური ტალანტ-მენეჯმენტი;
- კარიერის მართვა.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

ბ) ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების წინაპირობის მოხსნის შესახებ.
ცვლილების აღწერა: წინაპირობა მოეხსნას შემდეგ სასწავლო კურსებს:

- საერთაშორისო ბიზნესის მართვა;
- კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება, წინაპირობის დაზუსტება.

გ) ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების დამატების შესახებ.
ცვლილების აღწერა: თვისუფალი კომპონენტის არჩევით კურსებს დაემატოს:

- საერთაშორისო ბიზნესის მართვა (5 კრედიტი);
- კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში (5 კრედიტი).

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციის გაღრმავება.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 81)

ა) ცვლილება: სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ.

ცვლილების აღწერა: განახლდა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები და წარმოდგენილ იქნა მოდიფიცირებული სახით, კერძოდ: შეფასების სისტემიდან ამოღებულ იქნა დასწრება, შეიცვალა შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, დაზუსტდა შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარების ხანგრძლივობა და ფორმატი, შეიცვალა ძირითადი ლიტერატურა, მოხდა თემატიკის გადანცვლება-განახლება შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსებში:

- კვლევის მეთოდები ბიზნესში;
- საერთაშორისო ბიზნესის კომუნიკაციები;
- საერთაშორისო ბიზნესის დიპლომატია;
- საერთაშორისო ბიზნესის სტრატეგია;
- საერთაშორისო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა;
- საერთაშორისო ვაჭრობა;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ინოვაციური ბიზნესი;
- ელექტრონული ბიზნესი;
- ტალანტების მართვა ორგანიზაციაში;
- ლიდერობა და ემოციური ინტელექტი.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება.

ბ) ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების წინაპირობის მოხსნის შესახებ.

ცვლილების აღწერა: წინაპირობა მოეხსნას შემდეგ სასწავლო კურსებს:

- საერთაშორისო ლოგისტიკა;
- საერთაშორისო ბიზნესის კომუნიკაციები;
- საერთაშორისო ბიზნესის დიპლომატია;
- საერთაშორისო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა;
- საერთაშორისო ვაჭრობა;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- კორპორაციული ანგარიშგება.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება, წინაპირობის დაზუსტება.

გ) ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების დამატების შესახებ.

ცვლილების აღწერა: საერთაშორისო ბიზნესის მოდულის არჩევით კურსებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები:

- საერთაშორისო ბიზნესის ფინანსები (5 კრედიტი);
- კორპორაციული ანგარიშგება (5 კრედიტი).

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციის გაღრმავება.

დ) ცვლილება: ორი სასწავლო კურსის სემესტრული ცვლილების შესახებ.

ცვლილების აღწერა: „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ კონცენტრაციაში სასწავლო კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო საქმიანობის მართვაში“ მე-2 სემესტრიდან გადავიდა მე-3 სემესტრში, ხოლო სასწავლო კურსი „WEB ტექნოლოგიები ბიზნესში“ მე-3 სემესტრიდან მე-2 სემესტრში.

საფუძველი: კონცენტრაციის სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

ე) **ცვლილება:** სასწავლო კურსის ცვლილების შესახებ.
ცვლილების აღწერა: „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ კონცენტრაციაში სასწავლო კურსი „სოციალური ფსიქოლოგია“ შეიცვალა შემდეგი დისციპლინით - „შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია“.
საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციის გაღრმავება.

„ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო ერთწლიანი პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 302)

ა) **ცვლილება:** სასწავლო კურსების სემსტრული ცვლილების შესახებ.
ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი ,,ტალანტების მართვა“ მეორე სემესტრიდან გადმოვიდა პირველ სემესტრში. სასწავლო კურსები: ,,მენეჯმენტი გლობალურ გარემოში“ და ,,მონაცემთა კვლევა და ანალიზი SPSS-ის გამოყენებით“ სავალდებულო კურსებიდან გადავიდა არჩევით კურსებში.
საფუძველი: პროგრამის სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

ბ) **ცვლილება:** სასწავლო კურსის ცვლილების შესახებ.
ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი „სოციალური ფსიქოლოგია“ შეიცვალა შემდეგი დისციპლინით - „შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია“.
საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციის გაღრმავება.

გ) **ცვლილება:** საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების დამატების შესახებ.
ცვლილების აღწერა: პროგრამას დაემატა შემაჯამებელი პროექტი (10 კრედიტი).
საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციის გაღრმავება.

დ) **ცვლილება:** სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირების შესახებ.
ცვლილების აღწერა: განახლდა შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები და წარმოდგენილ იქნეს მოდიფიცირებული სახით, კერძოდ: მოხდა ძირითადი ლიტერატურის განახლება და შესაბამისად თემატიკის ცვლილება შემდეგ სასწავლო კურსის სილაბუსებში:

- ტალანტების მართვა ორგანიზაციაში;
- ლიდერობა და ემოციური ინტელექტი.

საფუძველი: სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება/გადამუშავება, წინაპირობის დაზუსტება.

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,

ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი

ა. კომიტეტის შემადგენლობაში ირმა გრძელიძის ნაცვლად **წარმოდგენილია შოთა ფოთოლაშვილი,** თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ბ. კომიტეტის შემადგენლობას **დაემატა მარინა ჩავლეიშვილი,** ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
გ. კომიტეტის შემადგენლობას **დაემატა ქეთევან ჩიტალაძე,** ასისტენტ პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
დ. კომიტეტის შემადგენლობას **დაემატა თეიმურაზ გოგსაძე** - ასისტენტ-პროფესორი, თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის წარმომადგენელი, ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.
ე. კომიტეტის შემადგენლობას **დაემატა პოლკოვნიკი კოსტანტინე პეტრიაშვილი,** სოციალური მეცნიერებების დოქტორი, სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის თავდაცვისა და უსაფრთხოების სასწავლო-ანალიტიკური ცენტრის ეროვნული და რეგიონალური მიმართულების კურსის უფროსი, სამაგისტრო პროგრამის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ ხელმძღვანელი.

ეკონომიკის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი

ა. კომიტეტის შემადგენლობაში ირმა გრძელიძის ნაცვლად **წარმოდგენილია შოთა ფოთოლაშვილი,** თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ბ. კომიტეტის შემადგენლობას **დაემატა ნიკოლოზ ფხაკაძე** - თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის წარმომადგენელი, ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაშ ი წარმოდგენილი ცვლილებები

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების ერთწლიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ხელოვნების მენეჯმენტი“ განხილვის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,

ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ წარმოდგენილია ერთწლიანი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი”. პროგრამის ხელმძღვანელია გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრის ასოცირებული პროფესორი მირონ ტუღუში და თანახელმძღვანელი ასისტენტ-პროფესორი დეა ფირცხალაიშვილი. ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მომზადდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება როგორც ზოგადად მართვის, ასევე ხელოვნების სფეროს მართვის შესახებ თეორიული და პრაქტიკული საკითხების სიღრმისეული ცოდნა და მოახდენს დარგში მიმდინარე პროცესების შესაბამის ანალიზს და შეფასებას. წარმოდგენილია პროგრამის დოკუმენტაციას (მოკლე აღწერილობას, პროგრამის სტრუქტურას, პროგრამის სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების შეფასების რუკას) ასევე სილაბუსებს და კათედრის სხდომის ამონაწერი. აღნიშნული

პროგრამის მოკლე აღწერილობა, პროგრამის სტრუქტურა, პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების შეფასების რუქა, ასევე სილაბუსი და კათედრის სხდომის ოქმიდან ამონაწერი.

აზრი ამ საკითხთთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების ერთწლიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების ერთწლიანი აღმასრულებელი სამაგისტრო (ეასს) პროგრამის „საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტი განხილვის შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ წარმოდგენილია ერთწლიანი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა **“საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტის”**. პროგრამა განკუთვნილია სამუშაო გამოცდილების მქონე უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის, კერძოდ, პროგრამის მიზანია აღჭურვოს სათანადო პრაქტიკული გამოცდილების მქონე ბიზნესში მომუშავე პერსონალი აუცილებელი თეორიული ცოდნითა და უნარებით: რომელსაც ექნება როგორც ზოგადად მართვის, ასევე საექსპორტო სტრატეგიების მართვის შესახებ თეორიული და პრაქტიკული საკითხების სიღრმისეული ცოდნა და შესწევთ უნარი ადეკვატურად შეაფასონ დარგში მიმდინარე მოვლენები და პროცესები. წარმოდგენილია პროგრამის სტრუქტურა, სწავლის შედეგების რუქა, სილაბუსები, განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები. აღნიშნული პროგრამის სტრუქტურა, სწავლის შედეგების რუქა, განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები.

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ, პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების ერთწლიანი აღმასრულებელი სამაგისტრო (ეასს) პროგრამა „საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტი".

მოისმინეს: დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის ინფორმაცია 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილების დამტკიცების საკითხი

1. ეკონომიკა - **10 ადგილი**
2. ბიზნესის ადმინისტრირება - **10 ადგილი**

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ავთანდილ სილაგაძემ, პროფესორმა რევაზ გველესიანმა

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილების შემდეგი რაოდენობა:

1. ეკონომიკა - **20 ადგილი**
2. ბიზნესის ადმინისტრირება - **20 ადგილი**

მოისმინეს: დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის ინფორმაცია დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიების დამტკიცების შესახებ

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია: პროფესორი **გიორგი ღაღანიძე** - დეკანი (თავმჯდომარე),აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა**, აკადემიკოსი **ავთანდილ სილაგაძე**, პროფესორი **იური ანანიაშვილი**, პროფესორი **თეიმურაზ ბერიძე**, პროფესორი **რევაზ გველესიანი**, პროფესორი **სიმონ გელაშვილი**, პროფესორი **ელგუჯა მექვაბიშვილი**, პროფესორი **ეთერ ხარაიშვილი**, პროფესორი **მირიან ტუხაშვილი**, ასოცირებული პროფესორი **მარინა ჩავლეიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი **მანანა ლობჟანიძე** - დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხოხობაია** - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია:
პროფესორი **გიორგი ღაღანიძე** - დეკანი (თავმჯდომარე),პროფესორი **ლევან საბაური**, პროფესორი **ნუგზარ თოდუა**, პროფესორი **ირაკლი კოვზანაძე**, პროფესორი **დავით ნარმანია**, პროფესორი **დემურ სიჭინავა**, პროფესორი **თეიმურაზ შენგელია**, პროფესორი **იოსებ ხელაშვილი**, ასოცირებული პროფესორი **მარინა ჩავლეიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი **მანანა ლობჟანიძე** - დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხოხობაია** - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიები წარმოდგენილი შემადგენლობით.

მოისმინეს: დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ. ლობჟანიძის ინფორმაცია

თსუ სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შესახებ

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მანანა ლობჟანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა, თსუ სადისერტაციო საბჭოს მიერ შემუშავებული, თსუ წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად, თსუ სადისერტაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში, ცვლილებები და დამატებები.

აღნიშნული ცვლილებები უნდა დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოზე, რომელსაც შემდეგ დაამტკიცებს აკადემიური საბჭო.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე –19

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ სადისერტაციო საბჭოს დებულებაში წარმოდგენილი ცვლილებები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი გ. ერქომაიშვილი